GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 17 – 24 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	4.1 %

Kutaisi'de Güneş Paneli Fabrikası Açıldı
ქუთაისში მზის ენერგიის მოდულების საწარმო გაიხსნა

21 Mayıs 2019 tarihinde Kutaisi'de Gürcistan'ın Başbakanı Sn. Mamuka Bakhtadze güneş paneli fabrikası açılış törenine katılmıştır. Fabrika Alman şirketi AE SOLAR tarafından yapılan yatırım ile inşa edilmiştir. Başbakan, açılış töreninde yaptığı konuşmada, Gürcistan bu gibi yüksek teknolojili ürünlerin üretimine odakladığını ve 21 yüzyılda böyle rekabetçiliğin önemli olduğunu söyledi.
16 bin metrekarelik alanda yerleşik fabrika tam otomatik ve robotize edilmiş konveyörlarla donatılmış güneş paneli fabrikanın yıllık verimlilik hacmi 500 MW'dır. Fabrikada ilk etapta 300, devamında ise 1 000 kişi istihdam edilecektir. Üretilen ürünlerin tamamı Avrupa Birliği, ABD ve Yakın Doğu gibi önemli pazarlarda ihraç edilecektir. Başbakan Ayrıca en yakın gelecekte, elektrikli araçların fabrika inşaatının yine Kutaisi'de gerçekleşeceğini bildirmiştir.

21 მაისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ქუთაისში მზის ენერგო პანელების საწარმო გახსნა. საწარმო გერმანული კომპანია AE SOLAR-ის ინვესტიციით აშენდა. პრემიერ მინისტრმა გახსნის ცერემონიალის დროს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველო სწორედ მსგავსი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაზე აკეთებს აქცენტს და 21-ე საუკუნეში სწორედ ეს არის კონკურენტუნარიანობის მთავარი გზა.
16 000 კვადრატულ მეტრზე განთავსებული მზის პანელების საწარმო, სრულიად ავტომატური რობოტიზირებული კონვეირებით არის აღჭურვილი და მისი წლიური წარმადობა 500 მეგავატის მოცულობისაა. საწარმოში თავდაპირველ ეტაპზე 300 ადამიანი იქნება დასაქმებული, საბოლოოდ კი 1000 ადამიანი დასაქმდება. წარმოებული პროდუქცია კი სრულად ექსპორტისთვის იქნება განკუთვნილი და მოამარაგებს ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებს, როგორიცაა ევროკავშირი, აშშ და ახლო აღმოსავლეთი. პრემიერმა უახლოეს მომავალში, ელექტრო ავტომობილების საწარმოს მშენებლობა ისევ ქუთაისში დააანონსა.

OPIC ve PACE Grubu Arasında Sözleşme İmzalandı
OPIC-სა და PACE ჯგუფს შორის სესხის ხელშეკრულება გაფორმდა

Kafkas bölgesindeki en büyük nakliye şirketi olan "PACE Grup", Poti limanında çok fonksiyonlu yeni bir deniz Terminal'in inşaat ve yönetim projesi geliştirmiştir. Belirtilen projenin finansmanı ise kaynaklar Amerikan Dış Yatırım Şirketi (OPIC) tarafından yapılmıştır. Washington'da imzalanmış kredi anlaşmasının hacmi 50 milyon, projenin toplam maliyeti ise 120 milyon dolardır.

Projeye göre yeni ve modern terminal 25 hektar alanda yerleşecektir ve limanı 12 metreye kadar derinleştirilecektir. Sonuç olarak yenilenmiş liman 253 metrelik uzunlukta ve 50 000 tona kadar yük alabilecek gemilere servis edebilecektir. Liman'ın kargo kapasitesi 2.5 milyon ton ile artarak 5 milyon tona ulaşacaktır.

კავკასიის რეგიონში უმსხვილესი სატრანსპორტო კომპანია "პეის ჯგუფი" ფოთის ნავსადგურში ახალი მულტი ფუნქციოური საზღვაო ტერმინალის მშენებლობისა და მართვის პროექტი შეიმუშავა. აღნიშნული პროექტისთვის დაფინანსება კი ამერიკის უცხოური ინვესტიციების კორპორაცია OPIC-ისგან მიიღო. ვაშინგტონში გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მოცულობა 50 მლნ დოლარია, ხოლო პროექტის ჯამური ღირებულება 120 მლნ დოლარს შეადგენს.

პროექტის მიხედვით ახალი და თანამედროვე ტერმინალი 25 ჰა ტერიტორიაზე განთავსდება, ნავსადგურის აკვატორია 12 მეტრამდე გაღრმავდება. შედეგად პორტი 253 მეტრი სიგრძისა და 50 000 ტონამდე ტვირთამწეობის გემების მიღებას შეძლებს. 2.5 მლნ ტონით გაიზრდება პორტის ტვირთ გამტარიანობა და იგი თითქმის 5 მლნ ტონას გაუტოლდება.

Gürcistan Ukrayna Arasında Yeni Ticaret Anlaşması İmzalandı
სავაჭრო შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის

Ukrayna'nın Başkenti Kiev'de AB ve DCFTA (Derin ve Kapsamlı Serbest Ticaret Bölgesi Anlaşması) ortakların ikinci gayrı resmi bakanlar toplantısı gerçekleştirilmiştir. Toplantı esnasında Gürcistan ve Ukrayna arasındaki mevcut serbest ticaret anlaşmasında değişiklik yapıldı. Yeni anlaşma Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava ve Ukrayna'nın Başbakan Yardımcısı, Ekonomik Kalkınma ve Ticaret Bakanı Sn. Stefan Kubiv tarafından imzalanmıştır. Anlaşmaya göre bu değişiklik yürürlüğe girdikten sonra, Ukrayna'ya ve Avrupa Birliği'nde elde edilen hammaddelerin Gürcistan'da basit işlenmesi yapıldıktan sonra üretilen ürünler Ukrayna'ya ve AB'ne ihraç edilirken serbest ticaret rejimi nden yararlanacaktır.

უკრაინის დედაქალაქ კიევში ვაჭრობის საკითხებზე ევროკავშირისა და DCFTA (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება) პარტნიორების მეორე არაფორმალური მინისტერიალი გაიმართა.
აღნიშნული შეხვედრის დროს საქართველოსა და უკრაინას შორის მოქმედ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილება შევიდა. შესაბამის დოკუმენტს ხელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ და უკრაინის პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა სტეფან კუბივმა მოაწერეს ხელი. ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ცვლილების ძალაში შესვლის შემდგომ შესაძლებელია იქნება როგორც უკრაინული, ასევე ევროკავშირში წარმოშობილი ნედლეულით, საქართველოში მარტივი გადამუშავებით დამზადებულმა პროდუქციამ, უკრაინაში და/ან ევროკავშირში ექსპორტისას ისარგებლოს ამ ქვეყნებთან არსებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით.

Gürcistan’ın AB'deki en Büyük 5 Ticaret Ortağı
საქართველოს 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა ევროკავშირში

Gürcistan Milli İstatistik Ajansından alınan bilgiye göre 2019 Ocak – Nisan döneminde Avrupa Birliğine Gürcistan’ın ihracat hacmi 276.2 milyon dolara ulaşmıştır. Bu veriler bir önceki yılın verilerden %14.3 daha fazladır.
Ülkelere göre, en büyük beş ticaret ortağı şu şekildedir:

Bulgaristan - 108,975 milyon $
Romanya - 59.312 milyon $
Almanya - 20.872 milyon $
İtalya - 14.081 milyon $
Hollanda - 11.958 milyon $

საქსტატის წინასწარი მონაცემებით 2019 წლის იანვარ - აპრილში საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირში 276.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემები, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 14.3%-ით მეტია.

ქვეყნების მიხედვით კი უმსხვილესი სავაჭრო ხუთეული ასე გამოიყურება:
ბულგარეთი - 108. 975 მლნ $ გერმანია - 20.872 მლნ $ ნიდერლანდები - 11.958 მლნ $
რუმინეთი - 59.312 მლნ $ იტალია - 14.081 მლნ $

Rusya, Gürcistan'ın en Büyük Ticaret Ortağı Olma Statüsünü Koruyor
რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის სტატუსს ინარჩუნებს

AB ve Gürcistan arasında ticaret hacminin artmasına rağmen, en büyük ticaret ortağı statüsünü Rusya korumaktadır. 2019 Ocak – Nisan dönemin verilerine göre Gürcistan’ın ihracat hacmi 177.509 milyon dolara ulaşmıştır. 2018 yılında bu rakam 129.269 milyon dolara ulaştı ve son bir sene içerisinde %37.3 büyüme görülmüştür. En çok ihraç edilen 5 ürün:

Ferro alaşımları - 51.048 milyon $
Şarap - 40.266 milyon $
Maden ve tatlı su - 19.873 milyon $
Sıvı ve gaz filtreleri - 13.244 milyon $
İlaçlar - 9.920 milyon $

ევროკავშირში სავაჭრო მოცულობების ზრდის მიუხედავად საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის სტატუსს კვლავ რუსეთი ინარჩუნებს. 2019 წლის იანვარ - აპრილის თვის წინასწარი მონაცემების მიხედვით ექსპორტის მოცულობამ რუსეთში 177.509 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლისთვის 129.269 მლნ დოლარი იყო და მატება 37.3% პროცენტს გაუტოლდა. გთავაზობთ 5 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის ჩამონათვალს:

ფერო შენადნობები - 51.048 მლნ $ მედიკამენტები - 9.920 მლნ $
ღვინო - 40.266 მლნ $
მინერალური და მტკნარი წყლები - 19.873 მლნ $
სითხისა და აირის ფილტრები - 13.244 მლნ $

Lari Değer kaybetmeye Devam Etmekte
ლარი გაუფასურებას განაგრძობს

Döviz piyasasında bu hafta dalgalanmalar olmuş ve Gürcistan ulusal para birimi değer kaybetmiştir. Gürcistan Ulusal Banka'nın verilerine göre Gürcu Lari'sinin göstergeleri AB Dolara karşı 2.77'e ulaşmıştır. Gürcistan Finans Bakanı Sn. Ivane Machavariani Gürcistan Larinin değer kaybetmesini yabancı, özelikle Türkiye faktörü ile açıklamaktadır. Bakan'ın açıklamasına göre, Lari'nin değer kaybetmesine rağmen enflasyon baskısı görülmemektedir ve göstergeler Gürcistan Ulusal Bankası tarafından belirlenen sınırdadır. Bunun yanı sıra Bakan Hükümet tarafından ve Dolar bazında kredi çeken vatandaşlara destek gösteren Dolar Değiştirme programı hakkında bahsetmiş.

მიმდინარე კვირას სავალუტო ბაზარზე დიდი რყევები დაფიქსირდა. საქართველოს ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით კიდევ უფრო გაუფასურდა და მისმა ღირებულებამ ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით 2.77-ს მიაღწია. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი ლარის კურსის ვარდნას საგარეო, კერძოდ კი თურქეთის ფაქტორით ხსნის. მისი განმარტებით, ვალუტის გაუფასურების მიუხედავად არ შეინიშნება ინფლაციური ზეწოლა და მაჩვენებლები ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვარშია. ამასთან ერთად, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა მთავრობის მიერ ინიცირებული დედოლარიზაციის პროგრამა, რომელიც დოლარში სესხის მქონე ხალხს ეხმარება.

USD/GEL – 2.7799 TRY/GEL – 0.4531 EUR/GEL – 3.0954 GBP/GEL – 3.5160

USD/GEL

17 - 24 Mayıs 2019

USD/TRY

17 - 24 Mayıs 2019

TRY/GEL

17 - 24 Mayıs 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66